ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 320

16 ივლისი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2009 წლის 26 ოქტომბრის №299 ოქმით გათვალისწინებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის და 127² მუხლის, „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2009 წლის 26 ოქტომბრის №299 ოქმით გათვალისწინებული პირობის ცვლილების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 27 მაისის №22.88.876 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილ პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ 2009 წლის 26 ოქტომბრის №299 ოქმში და „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქონების განვითარება შესაძლებელია შემდეგი პარამეტრების ფარგლებში:
ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)
განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1): 0.6
განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2): 2.1
გამწვანების კოეფიციენტი (კ-3): 0.2",
იმ პირობით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის

სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში ფ/პ ავთანდილ გვასალია (პ/ნ. 62002002013) უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 239 309 (ორას ოცდაცხრამეტი ათას სამას ცხრა) ლარის გადახდას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე